ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

44 (9984) • 4 dekemberi • 2012 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

საკრებულოს სხდომაზე შეჭრილმა მოქალაქეებმა სხდომის „სიმყუდროვე“ დაარღვიეს

ნინო ნიკოლაიშვილი

11 განსახილველი საკითხი და თავდაპირველად ჩვეულებრივი რეჟიმით დამახასიათებელი საკრებულოს სხდომა 25 ნოემბერს გაიმართა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. ანუ დეპუტატთა უმრავლესობის უსიტყვო თანხმობები და დეპუტატ ლელა ნაცვალაძის განსხვავებული კომენტარები.

ნაცვალაძის პირველი რეპლიკები და მორალის შეხსენება ნაციონალთა ყოფილი დეპუტატების მიმართ, მათ მიერ „ქართული ოცნების“ ფრაქციის შექმნას მოჰყვა. მეორე კითხვა ბიუჯეტში ცვლილებებს შეეხებოდა, ანუ, რაში უნდა დახარჯულიყო გაზრდილი თანხა კონკრეტულ ა(ა)იპ-ებთან მიმართებაში. მან საკუთარ კითხვას თავადვე გასცა პასუხი: – თქვენ არ საუბრობთ იმაზე, რომ ეს თანხები იმ თანამშრომელთა ხელფასებისთვის გაქვთ განკუთვნილი, რომლებიც წინასაარჩევნოდ დანიშნეთ და დღემდე უხელფასოდ მუშაობენ, რადგან შესაბამისი თანხა ბიუჯეტში არ გქონდათ გაწერილი.

რამდენიმე საკითხიღა იყო განსახილველი, როცა კარები გაიღო და დარბაზში რამდენიმე მოქალაქე ხმაურით შემოიჭრა.

ნარი ჩავლეიშვილი უყურადღებობაში დებდა ბრალს ჩინოენიკებს.

ჟუჟუნა ქარცივაძე, წულუკიძის ქუჩის მცხოვრები, დახმარებას ითხოვდა თბილისში გამოკვლევაზე წასასვლელად. – რვასულიანი ოჯახი გვაქვს. ყველა უმუშევარი. ერთადერთ შემოსავალს სოციალური დახმარება წარმოადგენს ჩვენთვის.

მერი მჟავანაძე, ლაითური, მას შვილი ჰყავს დალუპული, რძალი ავადმყოფი. ამბობს, რომ სოციალური დახმარება მეუღლის სიკვდილის შემდეგ მოუხსნეს. – რამდენჯერ დავწერე განცხადება, მაგრამ ყურადღებას არავინ მაქცევს.

იზოლდა გოგუაძე, ძიმითი, ცხრასულიანი ოჯახი დახმარების სახით სახლის მასალას ითხოვს. – სახლი სტიქიამ დამიშალა. მოვითხოვე მასალით დამხმარებოდნენ, მითხრეს სახლი აიჩინე და დაგეხმარებით შეძენაშიო, მომატყუეს, ახლა 9 სული ორ ოთახში ვცხოვრობთ.

ეთერ ბერიძე, (ძიმითი), სახლის დასახურავ მასალას და შვილის იაშვილის კლინიკაში გამოკვლევისთვის ითხოვდა დახმარებას.

ვენერა დარჩია, (ძიმითი)– მეულლე მყავდა ავად, არაფერით დამეხმარნენ. უკვე ფეხი მოაჭრეს, სამასი ლარით ვთხოვე დახმარება, მომატყუეს, სხვის სახლში ვცხოვროვთ, ზამთარი მოვიდა, შეშაც არ გვაქვს;

შუშანა ზოიძე ონკოლოგიური ავადმყოფი – საბუთები მიმატანინეს, დახმარებას შემპირდნენ, მაგრამ არაფერი ჩანს.

ამ ადამიანთა მხრიდან ჩინოენიკთა კრიტიკისა და საყვედურების ფონზე ხელისუფლების „ადვოკატობას“ იმჟამად „უმცირესობაში“ მყოფი პენსიონერი ეთერ მგალობლიშვილი შეეცადა. – „ძალიან კარგი ხელისუფლება გვყავს, ყველაფერზე გვეხმარება, არ გცხვენიენ ასე რომ ლაპარაკობთ.“ – ხმის ამოღების საშუალებას აღარ აძლევდა სხვებს, რაც მან სხდომის შემდგომაც გააგრძელა და გამგეობის შესასვლელში, მთელი ძალით და ხელჯოხის დახმარებით ხმამაღლა უკითხავდა მორალს, შენობაში შემსვლელებს. დაბნეული მოქალაქეები კი გაკვირვებით კითხულობდნენ – რა უნდა ნეტავ ამ ქალს ჩვენთან.

ლელა ნაცვალაძემ ხელმოწერები პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით დაიწყო

– ვხედავთ, არჩევნებით შეიცვალა ცალკეული თანამდებობის პირები, ძირეული ცვლილებები კი არ ჩანს. ფაქტიურად დღეს ქვეყანაში არის ორხელისუფლებიანობა, ცინიზმი ნაციონალური ხელისუფლების მხრიდან და ამისი მაგალითი იყო საკრებულოს სხდომა – განაცხადა საკრებულოს დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემ პრესკონფერენციაზე. მისი თქმით, გურულებმა უნდა გამოიჩინონ ინიციატივა, დაიწყონ ხელმოწერები პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით, რათა შესაძლებლობა მიეცეს პრემიერმინისტრს დანაპირების შესრულებისა.

–ეს არის ჩვენი, სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა, ვიწყებთ ხელმოწერების შეგროვებას პრეზი-

გვ-2

ვეტერანები რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების გადადგომას ითხოვენ

გაზეთი „ალიონი

27 ნოემბერს, ქ. ოზურგეთში, გმირთა მოედანზე, II მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალთან ოზურგეთელმა ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანებმა საპროტესტო, გამაფრთხილებელი აქცია გამართეს.

–ჩვენ აქ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლების და შეიარღებული ძალების ვეტერანების ერთი ჯგუფი ვართ შეკრებილნი, რათა გავაპროტესტოთ ის პოლიტიკა, რასაც რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლება ატარებს. ესენი მხოლოდ საკუთარ პირად კეთილდღეობაზე ზრუნავენ, იზრდიან ხელფასებს, ირიგებენ პრემიებს, დაბრძანდებიან ძვირადღირებული ავტომანქანებით, ქეიფობენ რესტორნებში და ა.შ. ესენი უბრალო ადამიანებზე არ ფიქრობენ, ბუნებრივია არც ვეტერანებზე. როგორც ინფორმაციამ გამოჟონა, საკუთარი გუნდის გაძლიერებაზე და ორი თვის შემდეგ რეკანშზე ფიქრობენ. ჩვენ ამას არ დავუშვებთ. არ დავუშვებთ იმას, რომ ადამიანები კვლავ დააპირისპირონ ერთმანეთს. გადახედეთ ოზურგეთის 2013 წლის ბიუჯეტის პროექტს და მიხვდებით ყველაფერს. თურმე ესენი ოპოზიცია ყოფილან (?!)

ჩვენ მოვითხოვთ: გადადგეს გურიის გუბერნატორი ვალერი ჩიტაიშვილი და მისი აპარატი; მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და გამგებელი. ეს ჯერ-ჯერობით გამაფრთხილებელი აქციაა, თუმცა ჩვენ არც მომავალში არ ვაპირებთ მუნიციპალიტეტის შენობაში შეჭრას, ჩვენ ამისთვის ცივილური მეთოდით ვიბრძოლებთ–განაცხადა აქციაზე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის ვეტერანმა, ცნობილმა ვეტერანმა ფეხბურთელმა მურთაზ აბაშიძემ.

აქციაზე აფხაზეთის ომის ვეტერანმა ავთანდილ ჩავლეიშვილმა პრეზიდენტის გადაგომის მოთხოვნის თემაც გააჟღერა.

ოზურგეთელი ომის ვეტერანები ლანჩხუთში მიმდინარე აქციას სოლიდარობას უცხადებენ.

მასობრივი დათხოვნები საბიუჯეტო ორგანიზაციებში

გაზეთი „ალიონი

წინასაარჩევნოდ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობის“ ოზურგეთის ხელმძღვანელებმა კიდევ ერთხელ მიმართეს „ნაცად“ ხერხს და მათი „ერთგული“ ან „გადასაბირებელი“ ადამიანები მასიურად დაასაქმეს სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში, ა(ა)იპებში. ამ ადამიანებს ევალებოდათ იმჯამინდელი მმართველი პარტიისათვის საარჩევნო ხმების მობილიზება. ამ პროცესს უშუალოდ ხელმძღვანელობდა მათი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის რამაზ ნიკოლაიშვილის საარჩევნო შტაბი გურიის გუბერნატორის ხელმძღვანელობით.

რა არის ამაში ცუდი, როცა ადამიანებს ასაქმებენ?–იკითხავთ.

საქმე ის არის, რომ სამუშაო ადგილების შექმნას თავისი წესი აქვს, მაგრამ ნაციონალური ხელისუფლება არა ახალი საწარმოების შექმნაზე ფიქრობდა, არამედ საბიუჯეტო ორგანიზაციებს „ბერავდა“ გამოგონილი შტატებით. მაგალითად, თუ რამაზ ნიკოლაიშვილი იტყოდა, მისთვის სასურველი პიროვნება შესაძლოა რომელიმე საბიუჯეტო ორგანიზაციის დირექტორის მოადგილედ დაენიშნათ სოლიდური ხელფასით. ასე მოხდა ერთ-ერთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც ნიკოლაიშვილის „კადრი“ თანამშრომლებს თვალად არ უნახავთ.

საბიუჯეტო ორგანიზაციებში საარჩევნოდ დანიშნულ ადამიანების დათხოვნებს დიდი ვნებათა ღელვა მოჰყვა ამ ორგანიზაციებში. ზოგი დაობს, რომ რატომ მას ათავისუფლებენ და რატომ სხვას არა და ა.შ.

თავად ორგანიზაციების ხელმძღვანელები ამბობენ, რომ ამ ადამიანებმა იცოდნენ, დროებით რომ იყვნენ დანიშნულნი და ამას უნდა შეეგუონ, ასე რომ არ მოვიქცეთ, იმ თანამშრომლებსაც შეექნებათ პრობლემები, რომლებიც ადრეა დასაქმებულნიო და ა.შ.

–კი ბატონო, საარჩევნო პროცესში ვიყავი ჩართული, უმაღლესი განათლებით ვარ და წლებია ფაქტიურად უმუშევარი ვიყავი. ახლა ხელშეკრულებით ამიყვანეს და ჩემს მოვალეობას პირნათლად ვასრულებ. რატომ უნდა გამათავისუფლონ?–დაგვისვა შეკითხვა თვითმმართველობის სისტემაში დასაქმებულმა ახალგაზრდა ქალბატონმა.

პასუხი კი იმ ადამიანებმა უნდა გასცენ მათ, ვინც ამ „პროექტის“ ავტორები არიან და ჯერაც სხედან თანამდებობებზე.

7 დღის ამინდის პროგნოზი

4 დეკემბერი, სამშაბათი	5 დეკემბერი, ოთხშაბათი	6 დეკემბერი, ხუთშაბათი	7 დეკემბერი, პარასკევი	8 დეკემბერი, შაბათი	9 დეკემბერი, კვირა	10 დეკემბერი, ორშაბათი
მზე, ღრუბელი +14+24	წვიმა +8+13	წვიმა +8+14	მზე, ღრუბელი +12+18	ძლიერი წვიმა +8+14	წვიმა +8+12	მზე, ღრუბელი +9+14

ტუბერკულოზით დაავადებული კვლავ დახმარების მოლოდინშია

ნუგზარ ასათიანი

ქ. ოზურგეთში (ნიკო ნიკოლაძის ქ. №12) მცხოვრები, 72 წლის პენსიონერი შამილ ხავთასი ადგილობრივი ხელისუფლებიდან დახმარების ამაო მოლოდინშია. ამ დღეებში მან თავისი გასაჭირის შესახებ გაზეთ „ალიონის“ ჟურნალისტებს მოუთხრო:

— „ვარ ტუბერკულოზის მძიმე ფორმით დაავადებული. 1977 წელს ოზურგეთის ტუბდისპანსერში დამისვეს დიაგნოზი— მარჯვენა ფილტვის I სეგმენტის კავერნოზული ტუბერკულოზი. იმ წლებში ვმკურნალობდი და აბასთუმანშიც ვახერხებდი წასვლას, მაგრამ შემდეგ ჩემმა სიდუხჭირემ ამის საშუალება არ მომცა. ამას დაემატა ისიც, რომ დაავადებული მაქვს გული, ისე რომ სუნთქვა მიჭირს. ვარ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ—ჩემი მოქმედი სარეიტინგო ქულა 14 940 შეადგენს.

ამ რამდენიმე წლის წინ ადიდებულმა მდინარემ დააზიანა საცხოვრებელი სახლი ისე, რომ იქ ცხოვრება შეუძლებელი გახდა. ჩემი დუხჭირი ყოფა კიდევ უფრო დამძიმდა. ამას ისიც ემატება, რომ რამდენიმე წლის წინ გარდამეცვალა მეუღლე (შვილი არ მყავს) და დავრჩი ასე უპატრონოდ. ხშირად მჭირდება ექიმთან ვიზიტი. კი ბატონო, სახელმწიფო მაძლევს სოციალურ დახმარებას 30 ლარს, მაგრამ ჩემნაირი მძიმე ავადმყოფისთვის ეს მცირე დახმარება და პენსია საკმარისი არ არის, რადგან მედიკამენტები ძალიან ძვირი ღირს.

ჩემი საბინაო პრობლემის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას მივმართე.

იმჟამინდელი გამგებლის გია ტაკიძისაგან შემდეგი სახის პასუხი მივიღე: **„ვაცნობეთ, რომ თქვენი განცხადება სიძველისაგან დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სარემონტოდ თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით განხილული იქნა 2009 წელს „უსახლკარო და შეჭირვებულ პირთა (ოჯახთა) სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი დროებითი კომისიის“ მიერ. თქვენი თხოვნა ამ ეტაპზე ბიუჯეტში ამ მუხლით გათვალისწინებული თანხის სიმცირის გამო ვერ დაკმაყოფილდება.**

კომისიამ განიხილა 447 მოქალაქის განცხადება და დაკმაყოფილა სტიქიით დაზარალებული და უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი 15 უსახლკარო ოჯახი.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენი განცხადება აყვანილია აღრიცხვაზე და განიხილება 2010 წლის „უსახლკარო შეჭირვებულ პირთა (ოჯახთა) სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი დროებითი კომისიის“ მიერ.“ (25 მარტი, 2010 წ. № 1864).

ამის შემდეგ გურიის გუბერნატორს ვალერი ჩიტაიშვილს მივმართე დახმარებისათვის. მან მითხრა, რომ ბიუჯეტს არ ჰქონდა საშუალება ჩემთვის 5000 ლარი გამოეყო და მეფიქრა უფრო ნაკლებ თანხაზე. ველოდი, რომ 2011 წლის სიაში მოვხვდებოდი, მაგრამ შარშან მითხრეს, რომ 2012 წელს დამაკმაყოფილებდნენ. ერთი წელი დავდიოდი მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ მისაღებში, გუბერნატორი კვლავ რომ მენახა, მაგრამ მიღების დღეს იქ ყოველთვის რომელიმე მოადგილე მხვდებოდა. გუბერნატორს მთელი წლის განმავლობაში ვერ შევხვდი.

2012 წელს ბიუჯეტით უსახლკარო შეჭირვებულ პირთათვის 100 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. არც მე მიმიღია თანხა და არც მსმენია სხვას მიეღოს...“

როგორც გავიგეთ შამილ ხავთასი ამჟამად სოფ. ლიხაურში ნათესავებთან აფარებს თავს. ჯერჯერობით საცხოვრებლის აღსადგენად თანხის მიღება და აბასთუმანში რამდენიმე თვით სამკურნალოდ წასვლა მისთვის მიუღწეველ ოცნებად რჩება.

ეს ჩვენი საქართველოა

ნინო ნიკოლაიშვილი

ნაციონალური სამზარეულოს ფესტივალი 2012 წლის 25 ნოემბერს ზუგდიდის რ-ნის კოკის თემში შემავალ, მდ. ენგურს გაღმა მდებარე სოფელ ხურჩაში ჩატარდა.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის მრავალფეროვანი ნაციონალური სამზარეულო.

მიუხედავად წვიმიანი, ცივი ამინდისა, გასაოცარი სითბო სუფევდა ირგვლივ, სითბო ადამიანური. ჰაერში სურნელი ტრიალებდა ნაციონალური კერძებისა. აქ წარმოდგენილი იყო ქართველთა, ოსთა, აფხაზთა, უკრაინელთა, სომეხთა, ბერძენთა, რუსთა, აზერბაიჯანელთა თურქთა, ებრაელთა ნაციონალური სამზარეულო. გურიის ნაციონალური კერძები კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმის“ (ხელმძღვანელი ალა გამახარია) ოზურგეთის ქალთა კლუბმა წარადგინა (მოდერატორები ნანა კეკელიძე, ნინო ნიკოლაიშვილი). საცივი, მოხარშული ქათამი, ღვეზელი, ხაჭაპურები, ლობიო ქოთნით, წნილი, ფხალი, კეცის მჭადები, ყველი, ფელამუში, ჩურჩხელები, ჩირები, მსხალი ხეჭეჭური; ვაშლი დემირა; რამდენიმე სახეობის ღვინო, ჭაჭის არაყი... გურული სუფრის მშვენებას წარმოადგენდა. გურიიდან წარმოდგენილი იყო ასევე ეთნოგრაფიული მასალა, ხისა და კერამიკის ნაკეთობანი, გურიის გერბი, მასალები გურიის შესახებ და რაც მთავარია, იყო საუკეთესო მასპინძლობა ყველა ერის წარმომადგენელთა მხრიდან. იყო სტუმარი გულითადი და მასპინძელი გულუხვი. იყო მსგავსებაც და განსხვავებაც. რადგან იქ მყოფ ადამიანებს ერთი საერთო ისტორიითაც უცხოვრიათ ოდითგან, ერთმანეთის ჭირ-ლხინიც გაუზიარებიათ.

ფესტივალი რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელთა ორგანიზებით ჩატარდა.: ალუ გამახარია — ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“; თენგიზ სვანიძე ბიზნესისა და განვითარების კავკასიური ქსელი; ვალერი ბასარია — „გალი—დღე ხვალინდელი“: როლანდ კოპალიანი, პროფესორი — აკ. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი; მურმან ნაჭყებია, ვაჟა ფიფია — საზ-ბა „ზუგდიდელი; ჯამბულად ეხვაია — სათემო ცენტრი „ხურჩა“.

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობის და ნდობის აღდგენის მიზნით მოწყობილ საქართველოს ნაციონალური სამზარეულოს ფესტივალის მომზადებასა და აქტიური მონაწილეობისათვის ოზურგეთის ქალთა კლუბს შესაბამისი სერთიფიკატი გადაეცა.

ლელა ნაცვალაძემ ხელმოწერები პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით დაიწყო

დენტის გადადგომის მოთხოვნით, რათა გადადგეს მისი გუნდი.

წამზომი ჩართულია, თუ ეს ასე არ მოხდა, ისევ იქნება პრობლემების მოუგვარებლობა. სასაცილოა, როცა 2013 წლის ბიუჯეტზე ესენი გველაპარაკებიან. ჩინოვნიკები აწარმოებენ ოცნების ცალკეულ წარმომადგენლებთან შეხვედრას და მათგან პირობებს იღებენ.

საკრებულოში შექმნილი ოცნების ფრაქციაც ალეკო მამეშვილის მხარდასაჭერად არის შექმნილი. ისინი დააყენებენ საკითხს საკრებულოს თავმჯდომარის გადადგომისა, უმრავლესობა არ დაეთანხმება და სამი თვე მას ვეღარავინ შეედავება.

გოჩა გორდელაძე — ადამიანები კონკრეტულ ცვლილებებს ელოდებოდნენ, სინამდვილეში არაფერი არ ხდება. ვერც ვერაფერს გააკეთებენ. ახლა ზამთარი მოდის ელემენტარული გრადაცია შეიძლებოდა მომხდარიყო 17 თებერვალი სატარიფო განაკვეთისა. ეს ერთი მაგალითია, რატომ არის ცუდი ორხელისუფლებიანობა.

მეციტრუსეები ყურადღებას ითხოვენ

დიასამიძემ, დავით ფუტკარაძემ.

—ჩვენ გვჯერა, რომ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება მომავალში ჩვენს პრობლემებს მოაგვარებს, მაგრამ ამჟამად რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებიდან მეტი თანადგომა გვჭირდება. რას აკეთებენ მათი სამსახურები, რათა ციტრუსების რეალიზაციაში დაგვეხმარონ?-ეს შეკითხვა ადგილობრივმა მეციტრუსეებმა დაგვისვეს.

—ის სამ-ოთხი მანქანა, რომელიც ოზურგეთში ჩამოდის ციტრუსების შესაძენად და თითოეულს 4-5 ტონა ციტრუსი თუ მიაქვს, ეს უმნიშვნელოა წლევანდელი მოსავლის რეალიზაციისათვის, თანაც ბოლო დღეებში შესასყიდმა ფასმა მნიშვნელოვნად იკლო.

მეციტრუსეთა ერთი ნაწილი შეკვეთილი-წყალწმინდის ტრასაზეა გამოსული და ასე ცდილობს მოსავლის ნაწილობრივ რეალიზაციას.

—წელს 10 ტონა მანდარინი მაინც იქნება ჩემს ბაღში-გვითხრა შრომელმა **თამარ დიასამიძემ.** ყოველდღიურად ტრასაზე გამოვდივართ და მცირე რაოდენობით ვყიდი.

ანალოგიური გვითხრეს შრომელებმა **ეთერ**

—20 ტონა მანდარინი მაქვს სახლში. შემსყიდველები არ ჩანან. უცხოეთში გატანაზე შეღავათები არაა. სად უნდა წავიღოთ ამდენი ციტრუსი-ამბობს ნატანებელი **კარლო ბაქანიძე...**

—პირისათვის გახსნილი ქარხნები არ მუშაობენ. დაგვეხმარეთ ციტრუსების რეალიზაციაში—სთხოვენ გურიის ხელისუფალთ მეციტრუსეები.

სოფლის თვალი, იმედი, მოამაგე

ექიმ ცირა ქილიფთარის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა. იგი ეკუთვნის იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც თავისი სოფლის სიყვარული თხემიდან ტერფამდე აქვთ გამჯდარი გულში. თანასოფლელები მას იმედად და მოამაგედ თვლიან.

დაიბადა შრომისმოყვარე ადამიანების- ქალბატონ გუგული და გენო ქილიფთრების ოჯახში, რის გამოც შრომისმოყვარეობა და სიბეჯითე თავიდანვე დაჰყვა საგზლად. ბავშვობიდანვე ოცნებობდა ექიმობაზე და კერძოდ, ბავშთა ექიმი გამხდარიყო.

1976 წელს სოფ. ოზურგეთის საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1983 წელს, ასევე წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტი.

—„ქადილში ნუ ჩამომართმევთ, და მართლაც ვიყავი ხუთოსანი სტუდენტი, სახელობითი სტიპენდიანტი, აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი ინსტიტუტში მოწყობილ ყველა სამეცნიერო კონფერენციასა და ღონისძიებაში“—მირიდებით გვეუბნება ქალბატონი ცირა.

25 წლის მანძილზე იგი წარმატებით მოღვაწეობდა ოზურგეთის ბავშვთა სამკურნალო ცენტრში, ხოლო ამჟამად იგი ახლადგახსნილ „მედალფას“ კლინიკაში მუშაობს.

ამ წერილში ჩვენ მის მიერ ბაილეთლებთან დამოკიდებულებაზე მოგითხრობთ.

ქალბატონი ცირა დიდი პასუხისმგებლობით და სიყვარულით ეკიდება მასთან მისულ პაციენტს. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, არ ყოფილა შემთხვევა, რომ მასტან ავადმყოფი მიეყვანოთ და თბილად არ მიეღოს და სათანადო ყურადღება არ გაეწიოს. მისთვის არ არსებოს კარგი და ცუდი ამინდი. თუ საჭიროა, მუდამ მზადაა, ავადმყოფთან ბინაზე მისასვლელად. ამასთანავე იგი ძალინ მომთხოვნი და მკაცრია. აფრთხილებს პატარა პაციენტს მშობლებს, მკაცრად დაიცვან ექიმის დანიშნულება.

კარგ ქალბატონს ოჯახიც ლამაზი აქვს. მას გვერდით უდგას ღირსეული მეუღლე, კაცური კაცი, გამოცდილი სამეურნეო მუშაკი ვახტანგ ფურცელაძე. ჰყავთ ერთადერთი ვაჟიშვილი—გენო, რომელიც წარჩინებული სტუდენტია.

ერთი სიტყვით, ჩვენი სოფლის თვალი და იმედია ქალბატონი ცირა, სოფლის ნამდვილი კოლორიტი, რომელიც მუდამ სოფლის სიკეთეზე და დახმარებაზე ფიქრობს.

ბაილეთელთა სახელით მადლობას მოვახსენებთ ქალბატონ ცირას და მის ოჯახთან ერთად ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. ამასთანავე ვთხოვთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს წარადგინონ იგი ღირსების ორდენზე, რაც მისი შრომის დაფასება იქნება.

გულიკო როყვა, დარეჯან ზაქარიაძე, ეთერ კილურაძე, მერაბ მამულაიშვილი, ზაზა ჩხატარაშვილი, რიმა ჟღენტი, ანგელინა დარჩია, სპარტაკ მამულაიშვილი (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რწმუნებული ბაილეთში), ნონა ჩავლეიშვილი, ნათელა ჩხარტიშვილი.

ალექსანდრე ღლონტი–100

ქართული ენის თვალსაჩინო მკვლევარი

დაიბადა 1912 წლის 5 ივნისს, სოფ. დვაბზუში. 1932 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი და სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში აკადემიკოს ნიკო მარის ხელმძღვანელობით. მან 1941 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1958 წელს–სადოქტორო. 1960 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

ალ. ღლონტი ქართული ენის, ქართული ფოლკლორის თვალსაჩინო მკვლევარი იყო. მისი ნაშრომები შეეხებოდა ქართული ენის, გრამატიკის, ლექსიკოგრაფიის, დიალექტოლოგიის, ტოპონიმიკის, ქართული ხალხური შემოქმედების, პოეტური და ენობრივი თავისებურებების უაღრესად აქტუალურ საკითხებს.

ალ. ღლონტი 300-მდე ნაშრომის ავტორია. მათ შორის 60-მდე მონოგრაფია, რომლებიც დიდად ადიდებენ ქართველოლოგიას.

ქართული ფოლკლორისტიკისათვის ქართული ენის, ქართული დიალექტოლოგიისათვის უაღრესად საინტერესოა ალ. ღლონტის ნაშრომები: გურული ტექსტები (1937 წ.); ტექსტები ქართული შაირები (1941 წ.); ქართული ტექსტები (1948 წ.); ქართული ხალხური ნოველა I ტ. (1963 წ.); II ტ. (1966წ.); ქართული ზღაპრები (1964 წ.)...

ალ. ღლონტმა დიდი შრომა გასწია ნიკო ჩუბინაშვილის უძველესი საუნჯის „ქართულ-რუსული ლექსიკონის“ (ტ. I. 1941 წ.) და „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ (ტ. I, II –1970 წ.) შესწავლისა და გამოცემისათვის.

პროფესორმა ალ ღლონტმა დიდი ღვაწლი შეიტანა ქართული ლექსიკოლოგიის განვითარებაში. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა მისი მონოგრაფიები: ქართული ლექსიკოლოგია (1964 წ.); „ქართული ლექსიკოლოგიის“ საფუძვლები (1971 წ.).

ძნელია გადაჭარბებით შეგაფასოთ მნიშვნელობა ალ. ღლონტის მიერ დიდი რუდუნებით და სიყვარულით დაწერილი წიგნისა „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“ (1974 წ.); II ტ. (1975 წ.). იგი ყველა ქართველოლოგის სამაგიდო წიგნია და ავტორის დიდი შემოქმედებითი გამარჯვებაა.

საყოველთაოდ არის ცნობილი ალ. ღლონტის ღვაწლი ქართული ტოპონიმიკის კვლევის საქმეში. მან რამდენიმე წიგნი უძღვნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს. მათ შორის მის მშობლიურ მხარეს–ოზურგეთის რაიონის გეოგრაფიული სახელების (ტოპონიმიური ძიებანი). ამ ნაშრომში დიდძალი ფაქტიური მასალის მოხმობით განხილულია არა ერთი ტოპონიმის ისტორიისა და სტატუსის საკითხი.

ალ. ღლონტს ეკუთვნის რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომი ქართული ენისა სახელისა და ზმნის, სინტაქსის მნიშვნელოვან საკითხთა შესახებ.

ალ.ღლონტი აქტიურად მონაწილეობდა უმაღლესი და საშუალო სკოლების სახელმძღვანელოების და პროგრამების შედგენაში. იგი იყო პედაგოგიური ინსტიტუტის არაერთი სახელმძღვანელოს ავტორი. დამხმარე სახელმძღვანელოსთვის „ქართული წინადადება“ 1981 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო განათლების სამინისტროს პრემია.

1967 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. დაჯილდოებული იყო მთავრობის მაღალი ჯილდოებით.

მასალები მოგვაწოდა
მანანა ლომაძემ

ალ. ღლონტის ხსოვნას მიეძღვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიულმა მუზეუმმა, დვაბზუს ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა, ფაზისის საერო აკადემიის ოზურგეთის ფილიალთან ერთად მოაწყო ალექსანდრე ღლონტისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

სოფ. დვაბზუში შეიკრიბნენ ფართო საზოგადოების წარმომადგენლები. სტუმრები, ფაზისის საერო აკადემიის წევრები ქ.ფოთიდან, მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან. ღონისძიებას ალ. ღლონტის შთამომავლები და ახლობლები დაესწრნენ.

ღონისძიება გახსნა დვაბზუს ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორმა ნინო ჯაველიძემ. შემდეგ სიტყვა სოფ. გაღმა დვაბზუს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ლალი ბასილაშვილმა აიღო და მანვე იკისრა ღონისძიების გაძღოლა.

ალექსანდრე ღლონტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ისაუბრეს ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მცველმა, ფაზისის აკადემიის ოზურგეთის ორგანიზაციის კოორდინატორმა მანანა ლომაძემ, ალ. ღლონტის რძალმა პროფესორმა ქეთევან გოდერძიშვილმა.

სიტყვებით გამოვიდნენ ღვაწლმოსილი პროფესორის შვილი, თსუ პროფესორი, ამერიკის მათემატიკის აკადემიის საზოგადოების წევრი ომარ ღლონტი, შვილიშვილი ასოცირებული პროფესორი ხათუნა ღლონტი, ალ. ღლონტის დისშვილები ეთერ ქადიეშვილი, ნაირა ლომთათიძე; ფაზისის აკადემიის გურიის ორგანიზაციის თავმჯდომარე რევაზ თევდორაძე, ფაზისის აკადემიის წევრი, გაზეთ „ნიკოლაძის გზით“ რედაქტორი რევაზ აბრალავა, ფაზისის აკადემიის ოზურგეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, გაზეთ „ალიონის“ რედაქტორი ნუგზარ ასათიანი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის კომისიის თავმჯდომარე ირინა საჯაია.

მუზეუმში გამოფენილი იყო ალ. ღლონტის მიერ გამოცემული წიგნები, ნაშრომები.

28 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ალ. ღლონტის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია გაიმართება.

ღონისძიების ორგანიზატორები ალექსანდრე ღლონტის ახლობლებთან ერთად

უდიდესი გრძნობით ეფერებოდა თითოეულ ქართულ სიტყვას

ნინო ნიკოლაიშვილი

ბ-ნი ალექსანდრე ჩემი უსაყვარლესი პედაგოგი გახლდათ. ძნელია დავიწყება გასაოცარი ემოციით და სიყვარულით გაჯერებული მისი ლექციებისა.

იგი საუკეთესოდ ახერხებდა ქართული ენის მრავალფეროვან კილოკავთა გადმოცემას და მისივე კუთხეების დამახასიათებელი სურნელების მოყოლებას.

უდიდესი გრძნობით ეფერებოდა თითოეულ ქართულ სიტყვას და თითოეულ მტკაველს ქართული მიწისა. დღეს მხოლოდ ერთ ფაქტს გავიხსენებ ბატონ ალექსანდრესთან დაკავშირებით:

ქართული ფილოლოგიის სტუდენტები ხშირად ვახერხებდით შაბათ-კვირა დღეებში ქართული ძეგლების მონახულებას. ერთ-ერთი ასეთი გასვლის დროს წულრუღაშენში მიმავალნი გზად სომხური ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს დავეწიეთ. დავიმგზავრეთ და ერთად ავედით ტაძრამდე.

იქ მისულებს კამათი მოგვიხდა. სომეხი სტუდენტები გვიმტკიცებდნენ, რომ შუა საუკუნეების ეს ძეგლი სომხური ტაძარი იყო. ჩვენ მათ წავუკითხეთ კედელში დატანებული წარწერა ასომთავრულით შესრულებული. კამათით დავცილდით ერთმანეთს და ტაძრის მოპირდაპირე მხარეებზე დავსხედით დასასვენებლად.

მალე ჩვენმა მეგობარმა ნახა, რომ წარწერა ქვებით დაეზიანებინათ, რასაც დაპირისპირება მოჰყვა ჩვენს შორის.

მეორე დღესვე გვიჩივლეს რექტორთან.

აქაოდა ინტერნაციონალები ვართ და სტუმრები არ გავანაწყენოთო, ერთი კვირა მიმდინარეობდა ზეწოლა 6 სტუდენტზე, რომლებიც ლიდერებად ვითვლებოდით. ბოდიში უნდა მოგვეხადა მათთვის კურსის სახელით. გვემუქრებოდნენ გარიცხვითაც.

სვიმონ გამსახურდიას მეშვეობით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მივაწვდინეთ ხმა. შინაგანად ყველა გვითანაგრძნობდა, რეალურად–ვერავინ.

მოიწვიეს კრება, რათა დაეგმოთ ჩვენი საქციელი და კიდევ ერთხელ ჩავეყენებინეთ იძულებაში.

სიტყვა გადასცეს ბ-ნ ალექსანდრეს. მან სხვებისაგან განსხვავებით მხოლოდ რჩევა-დარიგებები დაგვიწყო. თანაც დრო და დრო მოაყოლებდა, რომ არ ვიყავით მართლები.

მისგან ამას არ ველოდით. ცრემლმორეულმა წყენით მივმართე: –ბატონო ალექსანდრე, თქვენ ჩვენს ადგილზე როგორ მოიქცეოდით მეთქი. ჩვენსკენ მობრუნდა, ხელები ჩვენსკენ მომართა– „მე, .. მე... მეც ზუსტად ასე მოვიქცეოდი შვილებო, როგორც თქვენ მოიქეცით, მაგრამ... სხვა დროს უჩემოდ აღარ წახვიდეთ, მეც თან წამიყვანეთ.“

იგი მიხვდა, რა შეიძლება მოჰყოლოდა მისთვის ასეთ გამოსვლას, მაგრამ მისი სახე საოცარი იყო მაშინ, მტკიცე და შეუვალი. მისმა სიტყვამ იმ კრების ბედი გადაწყვიტა, ჩვენ ბოდიში არ მოგვიხდია.

არ გაგვიგია, როგორ მოსთხოვეს პასუხი ბ-ნ ალექსანდრეს, მაგრამ მალე ჩვენს დეკანატთან გამოიკრა რექტორის ბრძანება, რომლის მიხედვითაც „სტუმართა“ გულის მოსაგებად 6 სტუდენტს მოგვიხსნეს სტიპენდია 6 თვის განმავლობაში სამოქალაქო წესრიგის დარღვევისათვის.

ვუძღვნი ქალბატონ ფეფო ბოლქვაძის ნათელ ხსოვნას

უნაზესი ქალბატონი, ულამაზეს აპრილს გაჰყვა ცაში...

ამ სასწავლო წელს უთქვენოდ შევხვდით,
რა მუხთალია წუთისოფელი...
„სიკვდილის შემდეგ დასაბეჭდი ბარათი“
(ასეთი იყო მისი სურვილი)

ჩემს ძვირფას ფეფო მასწავლებელს

მაქვს უსაზღვრო გულისტკივილი... წლები ისე მიილია, საკადრისად ვერ მოგეფერე, და ალბათ ვერც ვერავინ. იმ სილამაზის, სითბოსა და სიკეთის მიგება, რაც თქვენ გაეცით და დაიხარჯეთ – ერთი ადამიანისგან შეუძლებელია, ამას თაობები თუ შეძლებენ ნაწილ-ნაწილ. ბუნებაში არაფერი იკარგება, ზეცაში ადის და... უკან სათანადოდ გვიბრუნდება. თქვენ რომ არა და სანთლით საძებნი თქვენნაირები, წმიდა აღარაფერი იქნებოდა ამ სოფელში. მძიმეა თქვენი ჯვარი: თქვენ ხომ ქართულ სიტყვას, სინდის-ნამუსს და ქართველი ქალის ღირსებას უდგახართ დარაჯად.

ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, დღემდე ვცხოვრობ არარეალურ სამყაროში, რის გამოც უსაშველოდ მიჭირს... ხშირად, თვალწინ დამიდგებოდა თქვენი ხატება და მსურდა მოვსულიყავი, როგორც მოძღვართან, მაგრამ... მე ეს დღემდე ვერ შევძელი; როგორიც ვარ, ავიც და კარგიც, ბევრი რამ – თქვენი „ბრალია“.

ძალიან, ძალიან მიყვარხართ და მინდა ძალიან, ძალიან დიდხანს იყოთ.

უსაზღვრო სიყვარულით და პატივისცემით

თქვენი ნამოწაფარი – **ნანა ჟანუყვაძე,** 2009 წელი

პ.ს ჩემი ხელით დაკრეფილი მინდვრის ყვავილების თაიგულით გაგაცილე უკანასკნელ გზაზე, – მინდვრის ყვავილივით ნაზი და ლამაზი, რამდენ სითბოსა და სიკეთეს აშუქებდით ირგვლივ; როგორი ამაყი ვიყავი, როგორი იმედიანი, თქვენ რომ მეგულებოდით ამ სოფელში...

მინდვის ყვავილებად ქცეულიყოს თქვენს გულზე დაყრილი მიწა.

ნანა ჟანუყვაძე, 2012 წელი ნოემბერი

მეორე საშემოდგომო გამოფენა

ნინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთის სახვითი ხელოვნების ცენტრ - სურათების გალერეაში გურია ჩაესახლა თავისი სამშვენის - საფერებლებით, ფერთა სიუხვით, გურული ხასიათით, სიხარულით, სევდით, სიყვარულით, ოცნებითა და ოცნებისმიერი და რეალური სამყაროთი. და ეს ყველაფერი გურიის იმ ხელოვან ადამიანთა თვალითა და გულით დანახული,მერე თავიანთ ხელოვნებაში განივთებული სიამოვნება გახლდათ, წარმოდგენილი ხელოვნების ამ სფეროს თითქმის ყველა სახით.

გამოფენა ჩატარდა გურიის რეგიონის მხატვართა კავშირის ორგანიზებით და გამოფენილი იყო 24 მხატვრის ნამუშევარი. თამაზ დარჩია; ნატო ყალიჩავა; მარინე სუნგულია; მაია გოგოტიშვილი; ვახტანგ მამეიშვილი; გიორგი მკოიანი; თამაზ დევდარიანი; დათო შალიკაშვილი; გიორგი კალანდაძე; ნანა ჭანუყვაძე; ავთანდილ თავართქილაძე; ემზარ ხაბულიანი; გიორგი ორაგველიძე; დიმიტრი გოგუაძე; ვალერი მახარაძე; გია დარჩია; ნინო ჭელიძე; სულიკო ლომჯარია; ნინო კეჭაყმაძე; შორენა კიკუტაძე; ოთარ ჩხარტიშვილი; მირანდა ვანიძე; მზია ჩავლეიშვილი; ნინო მეფარიშვილი; ელისაბედ გეგუჩაძე.

ტილო, ზეთი; პასტელი, მაკრამე, აკრილი, ქარგვა, ცვილი, ფარდაგი, თექა, ქსოვა, შერეული ტექნიკა, კერამიკაზე ხატვა, ხე. სხვადასხვა მასალითა და ტექნიკით შესრულებული ახალი ნამუშევრები, თითქოს შემაჯამებელი იყო მხატვართა შემოქმედებითი ცხოვრებისა.

ამ საოცრების სამყაროს რეალურ სახედ ქცეულიყო ფიროსმანის სუფრა-ნატურმორტი, მისეული ხიბლით აღსავსე. რომლის იდეა მხატვართა კავშირის თავმჯდომარეს თამაზ დარჩიას ეკუთვნოდა.

ლია ურუშაძე, ხელოვნებათმცოდნე – ჩვენი გალერეა მასპინძლობს გურიის მხატვართა კავშირის მიერ ორგანიზებულ საშემოდგომო გამოფენას. ჩვენ გავაკეთეთ გასვლითი გამოფენა ფოთში, რომელსაც კარგი გამოხმაური ჰქონდა. დღეს კი აქ წარმოდგენილია 24 მხატვრის 100-მდე ახალი ნამუშევარი.

მხატვართა კავშირის არსია შემოქმედებით ადამიანთა გაერთიანება. უკვე ტრადიციად იქცა ჟანრობრივი მრავალფეროვნება.

თამაზ დარჩია, – ჩვენ შევპირდით საზოგადოებას ორ გამოფენას გავაკეთებდით წელიწადში, საგაზაფხულოს და საშემოდგომოს და ასეც არის. ასევე თენგიზ დარჩიას საინტერესო გამოფენა გვქონდა ლანჩხუთში.

ავთანდილ თავართქილაძე, გალერეის დირექტორი – ჩვენი სახლი ყოველთვის იყო ორიენტირებული ხელოვნებაზე და ასე ვაგრძელებთ. გურია არა მარტო ფოლკლორის, ხელოვნების მხარეცაა. დიდია აქ კონკურენცია ამ მიმართებით. მიხარია, რომ, როგორც მხატვარი, ისე ვმონაწილეობ.

სულიკო ლომჯარია, გობელენები.

ვახტანგ მამეიშვილი, მხატვარი – მხატვრის ნამუშევართა ბედი ხალხზეა დამოკიდებული. თუ ნახატი იყიდება, მხატვარი ქმნის ახალს. ისეა გაძვირებული სახატავი მასალა, მხატვარი ველარ ყიდულობს. ამ დროს აწუხებს ნიჭი, მაგრამ ვერ ახერხებს მის გადმოტანას ხელოვნებაში. იმედი მაქვს ყველაფერი გამოსწორდება და უკეთ მუშაობას შევძლებთ.

საინტერესო გამოფენისთვის მადლობა გადაუხადა მხატვრებსა და საორგანიზაციო ჯგუფს საკრებულოს თავმჯდომარე **ალეკო მამეშვილმა** გამოფენაში პირველად მონაწილეობდა ოზურგეთის სამხატვრო სკოლის პედაგოგი ნინო ჭელიძე, რომლის ნამუშევრებმა საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. კერამიკაზე ხატვა, ფარდაგი, ტილო, გოაში; ნინომ თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი დაამთავრა გობელენის სპეციალობით, თუმცა ბედის ცდა განსხვავებულ სახეობებში წარმატებული აღმოჩნდა.

ნინო ჭელიძე: „სულის ტკივილი“

– „სხვებისთვის გამობრწყინებული სიკეთე დარბაზს ეფინება,როგორც ხარება. მე ვჩერდები ულამაზეს ნახატთან „სულის ტკივილი“ და მგონია,რომ მან მე დამხატა. მე ამავსო სინათლით, მე დამადო სულზე სალბუნი, მზის ნაწილი მიმყვება სახლში. ეს მზე ნინოს ნახატებში სვდიანობს“ ნ. დონაძე –

გურიის რეგიონალური საჭადრაკო ჩემპიონატი დამთავრდა

ოზურგეთის სპორტის სასახლეში ერთ კვირაზე მეტი გრძელდებოდა რეგიონის საჭადრაკო პირველობა. იგი წელს რიგით მე-17 იყო და მასში გურიის 13 რჩეული მოჭადრაკე მონაწილეობდა. მათ ეს უფლება მუნიციპალურ ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებით მოიპოვეს. ჩემპიონატზე ჩოხატაური 3, ლანჩხუთი 4, ოზურგეთი (როგორც მასპინძელი) 6 მოჭადრაკით იყო წარმოდგენილი.

ჩემპიონატი, რომელიც წრიული სისტემით (ყველა ყველას ხვდებოდა) ჩატარდა, საქართველოს პირველობის შესარჩევ ტურნირსაც წარმოადგენდა. ორთაბრძოლები თავიდანვე უშედეგოთოდ დაიწყო და ყოველი ნახევარი ქულისთვის დროის ამოწურვამდე მიდიოდა პარტიები. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ გათამაშებულ 78 პარტიაში , მხოლოდ 5 პარტია დამთავრდა ყაიმით.

ჩემპიონატში კარგად იასპარეზეს გურიის შარშანდელმა ჩემპიონმა, საჭამიასერელმა ოსტატობის კანდიდატმა გივი ქორიძემ. მან 12 პარტიაში 9 მოიგო, 3 ყაიმით ითამაშა და 10,5 ქულით გურიის ჩემპიონობა მეორედ მოიპოვა.

ჩემპიონატის ეკვადრონზე გამოვლინდა, რომ მეორე-მესამე ადგილებისათვის ლანჩხუთელი მოჭადრაკეები ნუგზარ გვარჯალაძე, ტარიელ და ადამ ხუხუნაიშვილები და ოზურგეთელი დათო ცეცხლაძე შეეცილებოდნენ ერთმანეთს. მართალია დათოს ლანჩხუთელებთან მოგებები ჰქონდა, მაგრამ, სტარტზე დაკარგული ორი ქულა საეჭვოდ ხდიდა მეორე ადგილის მოპოვებას. მისთვის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ფინიშზე უშეცდომოდ თამაშით შეძლო უპირატესობის მოპოვება და 9,5 ქულით გურიის ვიცე-ჩემპიონობა მოიპოვა. ტარიელ ხუხუნაიშვილმა და ნუგზარ გვარჯალაძემ 9-9 ქულით III-IV ადგილები გაიყვეს, ხოლო ადამ ხუხუნაიშვილი V ადგილს დასჯერდა. ოზურგეთელმა ელგუჯა ურუშაძემ, რომელიც შარშან გურიის ვიცე-ჩემპიონი იყო, წელს ჩოხატაურელ კარლო ცხომელიძესთან ერთად 6-6 ქულა დააგროვეს და VI–VII ადგილები გაიყვეს.

წარმატებული უნდა ჩაითვალოს 12 წლის ოსტატობის კანდიდატის მიშიკო ქურიძის თამაში, რომელმაც გურიის პირველობაზე გამოცდილ მოჭადრაკეებთან თამაშის უფლება ბრძოლით მოიპოვა. მან 3,5 ქულა დააგროვა და სამი მოჭადრაკე მოიტოვა უკან.

ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გაიმართა ბლიც-ტურნირი, რომელიც 15 მონაწილეს შორის გაიმართა. აქ 14 შესაძლებლობიდან 13 ქულით დათო ცეცხლაძემ გაიმარჯვა. მომდევნო ადგილები დაიკავეს ტარიელ ხუხუნაიშვილმა, გივი სიამაშვილმა, ნუგზარ გვარჯალაძემ.

ჩემპიონატის დახურვას ჭადრაკის მოყვარულთა ფართო საზოგადოება დაესწრო.

ჩემპიონი და პრიზიორები დაჯილდოვდა შესაბამისი სინჯის მედლებით, ფულადი თანხით, ფასიანი საჩუქრებით და სპეციალური დიპლომებით, რომელიც წარმატებულებს გურიის ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ზურაბ ანდღულაძემ გადასცა.

პრიზები დაწესეს და წარმატებულ მოჭადრაკეებს გადასცეს ლოტბარმა, ანსამბლ „შვიდკაცს“ ხელმძღვანელმა ტრისტან სიხარულიძემ, ს/ს „იმედის“ ხელმძღვანელმა ოლეგ გობრონიძემ, ინდ. მეწარმე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა ბახვა დოლიძემ, შპს ანასეულის ჩაის ფაბრიკამ (გიორგი ხუჭუა), ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის წარმომადგენელმა ბახვა ოთხმეზურმა, ოზურგეთის სპორტის განვითარების ცენტრის ყოფილმა და ახლანდელმა დირექტორებმა ბიძინა გობრონიძემ და გელა შაფაქიძემ.

მოჭადრაკეებს სიტყვით მიმართა წარმატებული მოჭადრაკეების მშობელმა, „ქართული ოცნების“ოზურგეთის ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით დარჩიამ.

დათო კუჭაშვილს ტურნირის მთავარი პრიზი გადაეცა

ქ. წყალტუბოში ჩატარდა ყოფილი სსრკ-ს ჩემპიონის დავით აფხაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მე-7 რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1993-1995 წლებში დაბადებულ ახლგაზრდებს შორის. ტურნირში საქართველოს რეგიონების სხვა გუნდებთან ერთად ოზურგეთელი მოჭიდავეებიც მონაწილეობდნენ.

ტურნირის მთავარი –დავით ახაძის სახელობის პრიზი 74 კგ. წონით კატეგორიაში იყო დაწესებული, რომელიც ამ წონაში გამარჯვებულ დავით კუჭაშვილს გადაეცა (ლიხაურის საჭიდაო სკოლა, მწვრთნელი ალ. ბოლქვაძე); ტურნირზე ლიხაურელმა თემურ კვაჭაძემ და სამუკა დარჩიამ (60 და 120 კგ. წ.კ.) II ადგილი აიღეს, ხოლო გოჩა მემარნიშვილი და გიორგი კუჭაშვილი (74 და 84 კგ. წ.კ.) III ადგილებზე გამოვიდნენ;

50, 55, 74კგ. წონით კატეგორიებში ძმები ზურაბიანების აღზრდილებმა დავით ჩხარტიშვილმა, იური ლომაძემ, გიორგი თოიძემ II ადგილი აიღეს, ხოლო 60 და 74 კგ. წონით კატეგორიაში გიორგი ხუჭუამ და გიორგი თოიძემ– III ადგილი.

96 კგ. წონით კატეგორიაში II იყო შრომის საჭიდაო სკოლის აღზრდილი მარადი კროიანი (მწვრთნელი გურამ აბაშიძე).

გამარჯვებულებს და პრიზიორებს შესაბამისი სინჯის მედლები, დიპლომები და თასები გადაეცათ.

ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგის და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული“-ს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან,რომ გარდაიცვალა თანამშრომელი **დოდო სანიკიძე-გოგუაძისა** და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

როლანდ კეშელავა

8 ნოემბერს 54 წლის გახდებოდი, არადა როგორი სიკვდილი გერგო, შენი საფლავი სამშობლოდან შორს ყაზახისტანის ტრამალებში, კუსტანაის ოლქის პატარა დასახლება კარბალიკშია. შენს საფლავთან ვერ მოდიან შენი ახლობლები, მიწას არ შეარხევს შენი სამშობლოდან მონაბერი ქარი.

დროის უკუღმართობამ არაერთი ქართველი წაიყვანა სამუშაოდ უცხო მხარეში. 25 წელი იყავი შორეულ მხარეში. უშვილძიროდ დარჩი. 8 წლია შენი მონატრება გვკლავს.

ისღა დავრჩენია ჩვენს მოგონებებში გაცოცხლოთ მხოლოდ და უფალს ვევედროთ, შენი სულის ცხონებისათვის.

შენი და ძეთევანი, დისშვილები, ნათესავები.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru